



European School LTD
შპს ევროპული სკოლა

ტექნოლოგიების სახელმძღვანელო მშობლებისა და მოსწავლეებისთვის

განხილვის სიხშირე: ყოველწლიური

მომზადდა: ინოვაციური ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერმა

პოლიტიკა დაწერილია: 2018 წლის იანვარში

ბოლო განახლების თარიღი: 2021 წლის ნოემბერი

ბოლოს განახლდა: ინოვაციური ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ

ს. შიშ

სოფიო ბაზაძე
დირექტორი



2, I. Skhirtladze st.
0177 Tbilisi, Georgia
Tel: (032) 239 59 64
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge

ტექნოლოგიების სახელმძღვანელო მშობლებისა და მოსწავლეებისთვის

ManageBac, Edupage და QuickSchools

ManageBac, Edupage და QuickSchools წარმოადგენს შპს „ევროპული სკოლის“ (შემდგომში - „ევროპული სკოლა“ ან „სკოლა“) სასწავლო პროგრამების მართვის სისტემებს და მნიშვნელოვან საკომუნიკაციო საშუალებებს სკოლის საზოგადოების ყველა წევრისთვის. მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ ინდივიდუალური ანგარიშები (სკოლის საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამის მოსწავლეები - ManageBac ანგარიში, ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამის მოსწავლეები - QuickSchools ანგარიში და ქართული პროგრამის მოსწავლეები - Edupage ანგარიში), ხოლო სისტემა უზრუნველყოფს მათ შემდეგი მომსახურებით:

- ა) სასწავლო პროგრამის დეტალები, სასწავლო ბლოკების, ბლოკის გეგმების, ფაილების ჩათვლით;
- ბ) მიმდინარე კურსები და მასწავლებლები;
- გ) მოსწავლის კალენდარი;
- დ) მოსწავლის პორტფოლიო;
- ე) მოსწავლის აკადემიური მოსწრება;
- ვ) გაკვეთილზე დასწრება;
- ზ) საშინაო დავალებების გრაფიკები;
- თ) ონლაინ საკლასო ჟურნალი, საბოლოო (შემაჯამებელი) ნიშნებით;
- ი) მოსწავლის სემესტრული ნიშნები და ანგარიშები;
- კ) სასწავლო პროგრამის რესურსები მოსწავლეებისთვის;
- ლ) კომუნიკაცია მოსწავლეებსა და მშობლებთან სკოლასა და სახლში;
- მ) მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის შეტყობინებების გაგზავნის სისტემები;
- ნ) და სხვა მსგავსი ან/და განსხვავებული ფუნქციები.

მოსწავლეები ხშირად უნდა შევიდნენ თავიანთ ანგარიშში, აწარმოონ ეფექტური კომუნიკაცია თავიანთ მასწავლებლებთან და შეამოწმონ საშინაო დავალებების შესრულების ბოლო ვადები. სამივე სისტემას აქვს საშინაო დავალებების ონლაინ ჩამონათვალი და ბევრი მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მის გამოყენებას, როგორც მათ მიერ ნასწავლის ჩაბარების ერთადერთ საშუალებას. ამის შემდეგ ყველა დავალება ინახება თითოეული მოსწავლის ანგარიშში. ყველა სისტემა საშუალებას აძლევს მასწავლებლებს ატვირთონ რესურსები სწავლის მხარდასაჭერად.

მშობლებსა და მოსწავლეებს ცალ-ცალკე ანგარიშები აქვთ. მშობლები იყენებენ სისტემას მათი შვილების საშინაო დავალებების კალენდართან წვდომისთვის ყველა ძირითადი შემაჯამებელი (ბლოკის დასასრული) შეფასებისთვის, შემაჯამებელი ნიშნებისთვის, დაგეგმილი სასწავლო პროგრამის განსახილველად და სკოლის ანგარიშების შესაგროვებლად.

Google-ის ელ-ფოსტა, აპლიკაციები და ონლაინ საცავი

სკოლა პირველი კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით თითოეულ მოსწავლეს უზრუნველყოფს პირადი Google-ის ელ-ფოსტის ანგარიშით, რომელიც ცნობადია @europeanschool.ge მისამართით. ეს ანგარიში წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის მნიშვნელოვან

საშუალებას, განსაკუთრებით, რადგანაც ის ინტეგრირებულია Google-ის აპლიკაციებთან, რომლებიც ხშირად გამოიყენება გაკვეთილზე.

@europeanschool.ge ანგარიში თითოეულ მოსწავლეს უზრუნველყოფს შეუზღუდავი ონლაინ საცავით. ეს საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეინახონ დოკუმენტები "დრუბელზე" და მოახდინონ მათთან წვდომა ნებისმიერი ადგილიდან. მოსწავლეებს რეკომენდაცია ეძლევათ შეინახონ თავიანთი სასწავლო დოკუმენტები მათი Google ანგარიშის გამოყენებით.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსწავლეები იყენებენ ამ ინსტრუმენტებსა და ინტერნეტს უსაფრთხოდ და სათანადო პასუხისმგებლობით, სკოლა ასწავლის მოსწავლეებს ციფრულ მოქალაქეობას მანამ, სანამ ისინი დაიწყებენ Google ანგარიშების გამოყენებას.

ევროპული სკოლა იცავს “განათლებაში ტექნოლოგიების საერთაშორისო საზოგადოების სტანდარტებს” მოსწავლეთათვის (ISTE - International Society for Technology in Education), რომლებიც შემუშავებულია იმისთვის, რომ უზრუნველყოს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმატებით მართვა. აღნიშნული სტანდარტის მიხედვით ციფრული მოქალაქეობა ითვალისწინებს, რომ მოსწავლეები აცნობიერებენ ციფრულ სამყაროში ცხოვრების, სწავლისა და მუშაობის ურთიერთდაკავშირებულ უფლებებს, მოვალეობებსა და შესაძლებლობებს და ისინი იქცევიან უსაფრთხოდ, სამართლებრივად და ეთიკურად.

ა. მოსწავლეები მხარს უჭერენ და მართავენ თავის ციფრულ იდენტობასა და რეპუტაციას და მათთვის ცნობილია ციფრულ მსოფლიოში მათი ქმედებების სტაბილურობა.

ბ. ტექნოლოგიების გამოყენებისას მოსწავლეები ახორციელებენ პოზიციურ, უსაფრთხო, სამართლებრივ და ეთიკურ ქცევას, ონლაინ რეჟიმში სოციალური ურთიერთქმედების ან ქსელში ჩართული ხელსაწყოების გამოყენების ჩათვლით.

გ. მოსწავლეები ახდენენ ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისა და გაზიარების უფლებების და მოვალეობების გააზრების დემონსტრირებას.

დ. მოსწავლეები მართავენ თავიანთ პირად მონაცემებს ციფრული მონაცემების ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის და მათთვის ცნობილია მონაცემთა შეგროვების ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება ონლაინ რეჟიმში მათი ნავიგაციის კონტროლისთვის.

მოსწავლეები ვალდებული არიან სათანადოდ მოიქცნენ ინტერნეტში და სკოლის Google ანგარიშებში, ისევე, როგორც იქცევიან საკლასო ოთახში ან სკოლის ტერიტორიაზე. მოსწავლე იყენებს ევროპულ სკოლაში არსებულ კომპიუტერებს, ხელსაწყოებსა და ინტერნეტს მხოლოდ სკოლასთან დაკავშირებული დავალებებისთვის.

ყველა მასწავლებელს აქვს @europeanschool.ge ანგარიში და ერთი და იგივე შემნახველი სივრცე. ყველა მასწავლებელი ინახავს სასწავლო რესურსებს „დრუბელზე“ და უზიარებს მათ მოსწავლეებსა და კოლეგებს. მასწავლებლები ასევე იყენებენ Google-ის ინტერაქტიულ გარემოს ელექტრონული სასწავლო აქტივობებისთვის და იყენებენ მას საშინაო დავალებების ჩასაბარებლად.

საკუთარი კომპიუტერული მოწყობილობის მოტანა: ლეპტოპები და პლანშეტები

სკოლა პრაქტიკაში ნერგავს საკუთარი კომპიუტერული მოწყობილობის მოტანის პროგრამას VI – XII კლასებში. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ლეპტოპის ან პლანშეტის მოტანა საკლასო

ოთახში გამოსაყენებლად - კვლევის ჩასატარებლად, ჩანიშვნების გასაკეთებლად ან ელექტრონული სწავლების საკლასო აქტივობების შესასრულებლად.

თუ მოსწავლე მოიტანს თავის ლეპტოპს ან პლანშეტს, ხელსაწყო სრულად უნდა იყოს დატენილი სახლში. მოსწავლეებს არ შეუძლიათ თავიანთი ელექტრონული მოწყობილობების (ლეპტოპი, პლანშეტი და სხვა) ბატარეების დატენვა სკოლაში. გარდა ამისა, მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ მასწავლებლების მითითებები მათ პერსონალურ მოწყობილობებთან დაკავშირებით.

2022-23 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს, აღნიშნული პროგრამა სავალდებულო გახდეს VI – XII კლასების თითოეული მოსწავლისთვის.

ინფორმაციის შენახვა და წარმოება

ვინაიდან მოსწავლეები ელექტრონულ ფაილებში ინახავენ მათ მიერ ნასწავლის დიდ ნაწილს, ისინი ვალდებული არიან უზრუნველყონ მათ მიერ ნასწავლის უსაფრთხო შენახვა. მოსწავლეებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტური სარეზერვო სისტემების არსებობა და მათი ხელსაწყოების სათანადო ტექნიკური მომსახურება როგორც ტექნიკური, ასევე პროგრამული უზრუნველყოფისთვის. სკოლას არ შეუძლია ინფორმაციის აღდგენა, რომელიც დაკარგულია მოსწავლის პერსონალური ხელსაწყოებიდან, ასევე სკოლას არ აქვს სერვის ცენტრი კომპიუტერების ან პლანშეტების შესაკეთებლად.

ინტერნეტთან წვდომა

სკოლა თავის ორივე შენობაში უზრუნველყოფს მაღალ სიჩქარულ ლოკალურ ქსელს და უსადენო ინტერნეტ წვდომას. მოსწავლეებზე გაიცემა პაროლი და მათ შეუძლიათ საკუთარი ციფრული მოწყობილობების (ლეპტოპების ან პლანშეტების) გამოყენება ინტერნეტთან წვდომისთვის. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ სკოლის კომპიუტერების გამოყენება, რომელიც მიერთებულია ინტერნეტთან ლოკალური ქსელის საშუალებით.

თითოეულ მოსწავლეს შეუძლია:

- ა) ინტერნეტთან წვდომა თავისი ხელსაწყოების გამოყენებით;
- ბ) სკოლის კომპიუტერების გამოყენება სკოლის რეგულაციების შესაბამისად;
- გ) საკუთარი ხელსაწყოების გამოყენება საკლასო ოთახში (მასწავლებლის ნებართვით) ჩანიშვნების გასაკეთებლად ან კვლევის ჩასატარებლად;
- დ) მუშაობა საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, თუ ის თავსებადია კლასის მასწავლებლის მოთხოვნებთან.

უსაფრთხოება

სკოლა მაქსიმალურად ცდილობს უსაფრთხო და დაცული გარემო შესთავაზოს სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. სკოლა შესაძლებლობებს უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისთვის და ითხოვს მოსწავლეებმა თავიანთ შესაძლებლობებში შეინახონ თავიანთი ელექტრონული ხელსაწყოები. სკოლას ყველა შენობაში აქვს სათვალთვალო ვიდეო კამერები და საშვების სისტემა ყველა გარე კარზე. თუმცა, მოსწავლეები, რომლებსაც კომპიუტერები ან პლანშეტები მოაქვთ სკოლაში, ამას მთლიანად საკუთარი რისკით აკეთებენ. სკოლა ვერ აგებს პასუხს ნებისმიერ ხარჯზე, რომელიც სკოლაში პირადი ნივთების დაკარგვიდან ან მოპარვიდან

გამომდინარეობს, თუმცა იღებს ყველა გონივრულ ზომას აღნიშნულის პრევენციისთვის და მსგავსი ფაქტის არსებობის შემთხვევაში მოქმედებს დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება

ყველა მოსწავლე, რომელიც სკოლაში ინტერნეტში შევა საკუთარი ხელსაწყოთა გამოყენებით, უნდა იცავდეს ევროპული სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკას. მოსწავლეებმა და მშობლებმა უნდა წაიკითხონ ზემოაღნიშნული პოლიტიკის პირობები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველას ესმის თავისი მოვალეობები.

„სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკის“ მიზანია ციფრული ტექნოლოგიების სათანადო გამოყენების მხარდაჭერა და დამოკიდებულებებისა და ქცევის დადგენა, რომელიც დაიცავს მოსწავლეებს, ევროპული სკოლის საზოგადოებასა და სკოლის ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ რესურსებს.

„სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკა“ ორი ნაწილისგან შედგება:

1. ევროპულ სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკა: კონკრეტული წესები, რომელიც დაკავშირებულია სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებისა და რესურსების გამოყენებასთან;
2. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გაიდლაინები: ზოგადი რჩევა ყველა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, სოციალური მედიის ჩათვლით, სკოლის გარემოს შიგნით და გარეთ.

ტექნოლოგიები და რესურსები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- ევროპული სკოლის მიერ უზრუნველყოფილი პერსონალური ციფრული სწავლის რესურსები;
- საკლასო ოთახის საზიარო ტექნოლოგიები;
- ადგილობრივი და უსადენო ქსელის რესურსები;
- ევროპული სკოლის მიერ უზრუნველყოფილი ღრუბლოვანი გამოთვლებზე დაფუძნებული სისტემები და რესურსები;
- სხვა ციფრული რესურსების გამოყენება;
- მონაცემების დაცვა და უსაფრთხოება.

ყველა მოსწავლემ და მშობელმა უნდა წაიკითხოს ევროპული სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკა. სკოლა მშობლებს სთხოვს, განიხილონ აღნიშნული პოლიტიკის წესები თავიანთ შვილთან ერთად, რათა დარწმუნდნენ, რომ მათ საფუძვლიანად ესმით წესები.

ელექტრონული ხელსაწყოები

სასკოლო აქტივობების დროს მოსწავლეებმა არ უნდა გამოიყენონ პორტატული მუსიკალური ხელსაწყოები, ელექტრონული თამაშები ან სხვა არასაგანმანათლებლო ელექტრონული ხელსაწყოები, გარდა იმისა, რომელიც შეთანხმებულია პასუხისმგებელ მასწავლებელთან. მოსწავლეებს შეუძლიათ პორტატული მუსიკალური ხელსაწყოების გამოყენება ლანჩის დროს,

შესვენების დროს ან სწავლის პერიოდში, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის მათ ან სხვების უსაფრთხოებას. ბიბლიოთეკაში ან ნებისმიერ სასწავლო ოთახში ყოფნისას მოსწავლეებს შეუძლიათ მოუსმინონ მუსიკას, თუ ეს ხელს არ უშლის სხვათა სწავლას ან მუშაობას. ნებისმიერ სხვა დროს, მოსწავლეებმა ჩასაკეტ კარადებში ან ჩანთებში უნდა შეინახონ პირადი მოწყობილობა. სკოლა ვერ აიღებს პასუხისმგებლობას პირადი ელექტრონული მოწყობილობის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე.

საკლასო ოთახის საზიარო ტექნოლოგია

სკოლა უზრუნველყოფს საკლასო ოთახის ტექნოლოგიური რესურსების ფართო სპექტრს, ლეპტოპების, სამუშაო სადგურების, ინტერაქტიული დაფების, პროექტორებისა და სხვადასხვა ტექნიკური უზრუნველყოფის ჩათვლით ევროპული სკოლის სასწავლო პროგრამაში ყველა საგნის მხარდასაჭერად.

მოსწავლეები სიფრთხილითა და პატივისცემით უნდა მოეპყრან ამ რესურსებს. უნდა მოხდეს კლასის მასწავლებლის ინფორმირება ნებისმიერი მოწყობილობის დაზიანების შესახებ მისი აღმოჩენისთანავე.

მოსწავლეებმა არ უნდა შეცვალონ ფიზიკური მიერთებები და არ უნდა შეცვალონ საკლასო ოთახის ტექნოლოგიების კონფიგურაცია მასწავლებლის პირდაპირი თანხმობის გარეშე და იმის მკაფიოდ გააზრებით, რომ ის დაბრუნებული იქნება თავდაპირველ გარემოში გამოყენების შემდეგ.

ლოკალური და უსადენო ქსელის რესურსები

ლოკალურ და უსადენო ქსელთან წვდომა ნებადართულია მოსწავლეებისთვის. ქსელთან წვდომა გულისხმობს, რომ მოსწავლეებმა წაიკითხეს და გაიგეს ევროპული სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკა.

მოსწავლემ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დააინსტალიროს ან შეეცადოს დააინსტალიროს ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფა ან შეცვალოს ან დააკორექტიროს ნებისმიერ ხელსაწყოსთან წვდომის უფლებები.

ევროპული სკოლის მიერ უზრუნველყოფილი ღრუბლოვანი გამოთვლებზე დაფუძნებული სისტემები და რესურსები

ევროპული სკოლა უზრუნველყოფს ონლაინ სისტემებისა და რესურსების ფართო და მუდმივად განვითარებად კოლექციას, რომლებიც მომხმარებლებისგან ითხოვს სისტემაში შესვლას პირადი ანგარიშის სახელითა და პაროლით. ამგვარი ანგარიშის დეტალები ყურადღებით უნდა იქნას დაცული და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება ან გაზიარება სხვა პირისთვის.

უკიდურესად მნიშვნელოვანია უზრუნველყოფით, რომ სათანადოდ ხართ გამოსული ნებისმიერი დაცული სისტემიდან, რომელთანაც წვდომას ახორციელებთ ევროპული სკოლის საზიარო ხელსაწყოთა საშუალებით. თუ აღმოაჩენთ, რომ სხვა მომხმარებელს გახსნილი დარჩა პირადი ანგარიში, გთხოვთ დაუყოვნებლივ დახუროთ ანგარიში ან აცნობოთ მასწავლებელს ან ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის გუნდს.

არაკორექტული გზავნილის გაგზავნა სხვა მომხმარებლის ელ-ფოსტის ანგარიშიდან ითვლება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკის სერიოზულ დარღვევად.

გთხოვთ ნუ მოახდენთ პირადი მონაცემების სინქრონიზებას ონლაინ სისტემიდან ევროპული სკოლის საზიარო ხელსაწყოზე.

თუ გაქვთ ეჭვი, რომ თქვენი რომელიმე პირადი ანგარიშის უსაფრთხოებას შეიძლება საფრთხე ემუქრებოდეს, გთხოვთ დაუყოვნებლივ აცნობოთ ინფორმაციული ტექნოლოგიების გუნდს.

სხვა ციფრული რესურსების გამოყენება

შემდეგი პუნქტები კონკრეტულად უკავშირდება ინტერნეტის გამოყენებას და მოიცავს იმ სფეროებს, სადაც შეიძლება იყოს სერიოზული და შესაძლოა, სამართლებრივი გართულებები მოსწავლის ან/და სკოლისთვის.

მოსწავლეებმა:

- არ უნდა მოახდინონ ისეთ მასალასთან განზრახ წვდომა, გადაცემა, კოპირება ან შექმნა, რომელიც არაკორექტულად იქნება მიჩნეული; ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, გზავნილებით ან მასალებით, რომელიც არის პორნოგრაფიული ხასიათის, მუქარის შემცველი, უხეში, დისკრიმინაციული ან შევიწროებაზე მიმართული;
- პატივი უნდა სცენ და დაიცვან სხვათა ინტელექტუალური საკუთრება. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მუსიკის, თამაშების, ფილმებისა და ა.შ. არალეგალური ასლების დამზადებით ან/და გავრცელებით;
- არ უნდა გამოიყენონ რესურსები კრიმინალური ქმედებების ხელშეწყობისთვის;
- არ უნდა გამოიყენონ რესურსები სპამის, ჯაჭვური წერილების ან სხვა მოთხოვნილი მასობრივი გზავნილების დასაგზავნად.
- არ უნდა იყიდონ, გაყიდონ, დაარეკლამონ ან სხვაგვარად აწარმოონ ბიზნესი ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერის რესურსების ან სისტემების საშუალებით, თუ ეს არაა დამტკიცებული სასკოლო პროექტის სახით;
- არ უნდა ჩაიდინონ პლაგიატი. ყოველთვის სრულად უნდა მიუთითონ საკურსო სამუშაოს ან დავალებების სახით წარდგენილი ნებისმიერი მასალისა ან იდეების წყაროები.

მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება

მოსწავლეებმა:

- უნდა გამოიყენონ მხოლოდ მინიჭებული ანგარიშები ევროპული სკოლის სისტემებსა ან რესურსებთან წვდომისთვის;
- არ უნდა შეეცადონ პაროლების, მონაცემების ან ქსელების ნახვას, გამოყენებას ან კოპირებას, რომელზეც ისინი არ არიან უფლებამოსილი;
- არასოდეს უნდა სცადონ არანებადართული პროგრამული უზრუნველყოფის დაინსტალირება;
- დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ინფორმაციული ტექნოლოგიების გუნდს ნებისმიერი საეჭვო დარღვევების ან სუსტი ადგილების შესახებ;
- უნდა დაიცვან ქსელის უსაფრთხოების პრაქტიკა, როგორც გამოქვეყნებულია;
- არ უნდა წაშალონ, დაარედაქტირონ ან გადაადგილონ მონაცემები ან სხვა რესურსები, რომელიც მათ არ ეკუთვნით.

ინფორმაციის ხელშეუხებლობა და ელექტრონული უსაფრთხოება

მოსწავლეებმა:

- კომუნიკაცია უნდა მოახდინონ ევროპული სკოლის პერსონალთან მხოლოდ მათთვის მინიჭებული Google აპლიკაციების ელ-ფოსტის მისამართების, მართვის სისტემების ან სხვა დამტკიცებული არხების საშუალებით;
- პატივი უნდა სცენ და დაიცვან სხვათა უსაფრთხოება. არ უნდა გამოაქვეყნონ ონლაინ რეჟიმში და სხვაგვარად არ უნდა გაავრცელონ სხვათა ან საკუთარი პირადი ინფორმაცია;
- დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მასწავლებელს ნებისმიერი ინციდენტის შესახებ, რომელიც აძლევს მათ მიზეზს თავი იგრძნონ საფრთხის ქვეშ ან არაკომფორტულად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსებზე ზედამხედველობა და მონიტორინგი

სკოლა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრატორი აწარმოებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების მონიტორინგს იმის უზრუნველყოფაში დასახმარებლად, რომ გამოყენება უსაფრთხოა და შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან. სკოლა იტოვებს უფლებას შეისწავლოს, გამოიყენოს და გაამჟღავნოს სკოლის ქსელებსა ან საინფორმაციო სისტემებში აღმოჩენილი ნებისმიერი მონაცემები ნებისმიერი მოსწავლის ან სხვა პირის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, დისციპლინის ან დაცულობის ხელშეწყობისთვის ან ქონების დასაცავად.

სკოლას შეუძლია მონიტორინგის განხორციელება მომხმარებლის ანგარიშებზე და ინტერნეტთან წვდომაზე და არამართლზომიერი ქმედებების აღრიცხვა. ყველა ვალდებულია, გამოიყენოს სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსები დაფიქრებულად და პასუხისმგებლობის გრძნობით.

სკოლას ასევე შეუძლია ამ ინფორმაციის გამოყენება დისციპლინურს საქმისწარმოებაში და საჭიროებისამებრ, შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა სამართალდამცავი ორგანოებისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დარღვევების შედეგები

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული წესების დარღვევებმა შეიძლება გამოიწვიოს სკოლის რეგულაციებით გათვალისწინებული დისციპლინური ზომების დაკისრება, მათ შორის მოსწავლის მიერ სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების გამოყენების პრივილეგიების დაკარგვა.